# ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის“ დამატება
№4, 26 აპრილი, ოთხშაბათი, 2017 წელი

## ექსპონატები ლაპარაკობენ

ვაგრძელებთ რუბრიკას და ვესაუბრებით ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის მენეჯერს – ბატონ რევაზ ნოზაძეს.

**– ბატონო რევაზ, მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპზე, თქვენი მრავალპროფილური მოვალეობა განსაკუთრებულად უკავშირდება ხაშურის სამუზეუმო საქმიანობას.**

– ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში 1980 წლიდან ვმუშაობ, რიგითი თანამდებობიდან დაწყებული – მეთვალყურედ, ექსკურსიამძღოლად, მხატვარ-რესტავრატორად, სამეცნიერო მეთოდური განყოფილების გამგედ, ფონდების მთავარ მცველად. 1991 წლიდან დავინიშნე დირექტორად, 2008 წლიდან ვიყავი ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების მმართველი, ხოლო 2013 წლიდან ვარ ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახელ-მუზეუმის მენეჯერი.

სამუზეუმო საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, შეგროვება-აღრიცხვა, შესწავლა და პოპულარიზაცია, მუზეუმში დაცული ექსპონატებისა და კოლექციების ინვენტარიზაცია, ფონდების ყოველწლიური აღრიცხვა და სისტემატიზაცია და მუზეუმების ფონდების ბაზაზე მასობრივი, სამეცნიერო და საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება – კატალოგების, ბიბლიოგრაფიების, სამეცნიერო-კვლევითი მასალების შედგენა და პუბლიკაცია. უნდა ითქვას, რომ მუზეუმში მუშაობისას გასათვალისწინებელია ძირითადი პრიორიტეტები, როგორიცაა, ჩვენს შემთხვევაში, სახლ-მუზეუმის ფონდების შევსება ახალი მასალებით, სტაციონალური და დროებითი გამოფენები, პერიოდული გამოფენები, მნიშვნელოვანი თარიღები, სამეცნიერო ექსპედიციები და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

**– გვესაუბრეთ სახლ-მუზეუმის ქრონოლოგიური წიაღსვლების შესახებ.**

– საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსა და ხაშურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, 1991 წელს, ქვიშხეთში გაიხსნა დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი, სამი საშტატო ერთეულით. ამჟამად მუზეუმში შვიდი საშტატო ერთეულია. გასული საუკუნის 90-იან წლებში, საქართველოში მიმდინარე სხვადასხვა პოლიტიკური მოვლენების გამო, ვერ ხერხდებოდა მუზეუმის, თუნდაც მცირე ნაწილის რესტავრაცია და ექსპოზიციის მოწყობა. 2000 წლიდან, რაიონის გამგეობის ფინანსური დახმარებით, საქველმოქმედო ღონისძიებების ჩატარებითა და ენთუზიაზმით დავიწყეთ დიმიტრი ყიფიანის მემორიალური სახლის სამხრეთ ნაწილის, მწერალთა კავშირისა და ლიტერატურული ფონდის მიერ სასტუმროდ გადაკეთებული, ჩატიხრული დარბაზების აღდგენა-რესტავრაცია. პარალელურად, მუზეუმის თანამშრომლების მიერ მოძიებული იქნა დოკუმენტური მასალა ხელნაწერთა ინსტიტუტიდან (150 ერთეული), ლიტერატურის მუზეუმიდან (100 ერთეული), ფოტომასალა (160 ერთეული), 30-მდე მემორიალური ნივთი. ამასთან ერთად, გადავარჩინეთ ბიბლიოთეკის ნაწილი (უნიკალური ენციკლოპედიური რუსული გამოცემები), მხატვრული, სამეცნიერო და პუბლიცისტური ლიტერატურა. აგრეთვე, შესყიდული იქნა ქვიშხეთის მოსახლეობიდან დიმიტრი ყიფიანის შთამომავლობის მიერ გაჩუქებული ნივთები, რამაც საშუალება მოგვცა, მოგვეწყო სამი საგამოფენო დარბაზი.

სახლ-მუზეუმის სამეცნიერო ფონდში დაცულია 1288 ექსპონატზე მეტი. აქედან, აღსანიშნავია დიმიტრი ყიფიანის მემორიალური ნივთები, ფოტომასალები, დოკუმენტები, წერილობითი ძეგლები, საცნობარო მასალა, სამეცნიერო დამხმარე მასალა, საყოფაცხოვრებო და ეთნოგრაფიული მასალები, ფერწერა, გრაფიკა, სკულპტურა და სხვა.

**– რას გვეტყვით სახლ-მუზეუმის თანამშრომლების მიერ, ბოლო პერიოდში ჩატარებული მნიშვნელოვანი სამუშაოების შესახებ?**

– დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის მხრივ, კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული გარკვეული სამუშაოები ჩატარდა სასკოლო პროგრამების მენეჯერის – გივი გელაშვილისა და მუზეუმის თანამშრომლების მიერ. პრესის ფურცლებზე სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულია მასალები: „დიმიტრი ყიფიანი, როგორც ღვთის დიდი მორწმუნე“, „ეგზარხოსები საქართველოში“, „რას შეეწირა დიმიტრი ყიფიანი“, „იაგორ ჭილაშვილი – დიმიტრი ყიფიანის სიმამრი“, „როგორ ზრუნავდა და ფიქრობდა დიმიტრი ყიფიანი სამშობლოზე რუსეთის თვითმპყრობელობის პოლიტიკურ სამსახურში ყოფნისას“ და სხვა. გამოიცა ბროშურა – „დიმიტრი ყიფიანის გამონათქვამები“. ერთი წლის მანძილზე სახლ-მუზეუმი დაათვალიერა 493 სტუმარმა, შთაბეჭდილებების წიგნში გაჩნდა 130-ზე მეტი ჩანაწერი, საიდანაც ჩანს მუზეუმის თანამშრომელთა პროფესიონალიზმი. მუზეუმის ექსკურსიამძღოლი, პოეტი და მუსიკოსი – შოთა დარბუაშვილი, დამთვალიერებელს ქართულის გარდა, რუსულ და ოსურ ენებზეც აწვდის ინფორმაციას. კლარა გელაშვილი – სახლ-მუზეუმის ფონდების მცველი სისტემატურად მუშაობს თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში, მისი დამსახურებით, ფონდებს შეემატა ნინო ყიფიანის შესახებ 100-ზე მეტი სხვადასხვა დასახელების შინაარსის მასალა, რომელიც მზადაა გამოსაცემად. სახლ-მუზეუმის ბიბლიოთეკარმა – ლელა ჩადუნელმა დიდი შრომა გასწია და ინვენტარიზაცია ჩაუტარა 14615 წიგნს და შესაბამისად, მკითხველთა რაოდენობა წინა წლებთან შედარებით, საგრძნობლად გაიზარდა. მუზეუმი უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საბიბლიოთეკო მომსახურებას, წიგნის ადგილზე მიტანით.

2017 წლის 26 აპრილს დიმიტრი ყიფიანის ხსენების დღე აღინიშნება. წელს, ეს დღე მთელი ქართველი ერისათვის სასიხარულო ფაქტს – სახლ-მუზეუმის სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაწყებას დაემთხვა. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც თითო აგური დადო ამ საშვილიშვილო საქმის დასაწყებად: მუნიციპალიტეტის გამგეობას და მუნიციპალიტეტის საკრებულოს. აღსანიშნავია საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის – ირაკლი ღარიბაშვილის დამსახურება, რომლის უშუალო ბრძანებით, 2014 წელს მომზადდა სახლ-მუზეუმის პროექტი.

2017 წლის 24 ნოემბერს სრულდება დიმიტრი ყიფიანის მკვლელობიდან 130 წელი და წმინდანად შერაცხვის 10 წელი.

2010 წლიდან, ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანებამ დააწესა დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლისა და მისი პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისათვის დიმიტრი ყიფიანის სახელობის მედალი. ამ სახელობის მედლები გადაეცათ პროფესორებს: თამაზ ჯოლოგუას, თამარ მიქაძეს, გურამ ყორანაშვილს, მურად მთვარელიძეს, როსტომ ჩხეიძეს და ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სასკოლო პროგრამების მენეჯერს – გივი გელაშვილს.

სახლ-მუზეუმის სარეკონსტრუქციო სამუშაოების დამთავრებისთანავე, შემუშავებული გვაქვს სტაციონალური გამოფენის მოსაწყობად საექსპოზიციო გეგმა. სახლ-მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, ვაზის ძველი ჯიშების აღდგენა, გაშენება, საჩვენებელი ღვინის მარნის მოწყობა და სხვა. გვინდა, მომავალში სახლ-მუზეუმი გადავაქციოთ დიმიტრი ყიფიანის გენეალოგიის შესწავლის სამეცნიერო კვლევის ცენტრად. ვფიქრობთ, შევქმნათ ტურისტული ცენტრი თავისი მარშრუტებით და სხვა.

ესაუბრა ეკა ბაქრაძე

# დებიუტი



ეკა გეგელაშვილს სამაჩაბლოდან ოკუპირებული ადამიანების ტკივილი და სევდა, ჯერ კიდევ, შორეულ ბავშვობაში ერგო თანამგზავრად... მეათე კლასის მოსწავლეებს, ჩვენს ქალაქში ახლობელი ადამიანების სითბო და მზრუნველობა უვსებდა მშობლიური სოფლისა და ტკივების ზუზუნში ჩარჩენილი ბავშვობის მონატრებას, თუმცა, ეს ერთი შეხედვით...

წლების შემდეგ, სულში დალექილი, ან უკვე სიზმრად ქცეული „მანძილი თეთრ ტაძრამდე" პოეტურ ხილვებს შენივთებია და „წვიმის წვეთებით ნაჭირისუფლარი, კრიალოსანივით ჩამომარცვლული დარდის" საჭურჭლედ ქცეულა!..

დაბადების დღეს ვულოცავთ ხაშურის მე–9 საჯარო სკოლის პედაგოგს და მშობლიურ მხარეში დაბრუნების ახდენას ვუსურვებთ.

მანამ კი... „გარინდების დროა..."

### სიზმარი

მე ყოველ ღამე გავდივარ მანძილს
ჩემი სახლიდან, ჩვენს თეთრ ტაძრამდე,
ვგალობ „ოსანას", „მაღლთა შინას"
და უიმედოდ საყდარს არ ვტოვებ...
ბალახს ვაშორებ დედაჩემის და დის საფლავს –
მათ ძვალთშესალაგს,
მერე დავყვები სოფლის შარაგზას
და ვეჩეხები მუხანათ აწმყოს.
მე ყველას სახლში შევდივარ ფიქრით
და ვეფერები ნაცნობ ადგილებს,
მერე გავრბივარ, სულმოუთქმელად,
სახლში მისასვლელს მივდევ ბილიკებს...
ჩვენს ნასახლარზე ბალახი ყვავის
და ისტერიულს ვიწყებ გოდებას,
გადაკემხობი დანაცრულ კერას, –
ეკალ–ბარდები სახეს მიხოკავს...
ცრემლით ვასველებ ლიბო–სამირკველს.
მოგონებები რა რიგ მწველია!..
ეზოში ვაზი გადაუჩეხავთ და
ჯიბრზე, მაინც რქა აუყრია...
ჩამეძინება ასე გატანჯულს...
მსურს, რომ გათენდეს დღე კეთილ ნების...
გულით უსაზღვრო ოცნებად დამაქვს
სურვილი ჩვენი–იქ დაბრუნების!

### მონატრება

თეთრი საყდარი მომენატრა...
მამა დავითის ნაბორძიკალი სახარება
და მედავითნის ჩუმი პუტპუნი...
ნეტავი იმას, ვინაც არ იცის
ეს მონატრება და ეს ტკივილი...
ჩაკეტილი ვარ ფიქრის ჯავარში...
და არაფერი არ მიხარია!
დახავსებული ჩემი დღეები კარგს
აღარაფერს არ მპირდებიან.
გადავიღალე მიწის სტუმრობით,
სულს ზეცისაკენ უნდა გაფრენა...

### დრო გარინდების

ახლა გარინდების დროა,
ფიქრი შემომიჩნდა, ისლის.
მინდა შევისვენო, სანამ
მოვა ნაცრისფერი ნისლი.
ვიდრე შეგუბებულ ცრემლის
შემშლის ნიაღვარი... ვიდრე,
თქვენი მონატრების სევდას
ხნულში გუთნისდედად მივდევ...
ახლა გარინდების დრო მაქვს, –
კრიალოსანს ვმარცვლავ ჩემთვის...

### სულის კივილი

მარადისობის მკვიდრთ მოგმართავთ ცოდვილ მიწიდან:
მასწავლეთ თქვენთან მოსასვლელი გზა–ბილიკები,
ჩამომძენძილმა სიკეთემ შეხუთა სული,
გადაჭრილი მაქვს უკვე ფესვებიც....
თუკი ვჩქარობ და ჯერ ადრეა თქვენამდე მოსვლა, –
მომეცით ძალა განსაცდელის უხმოდ დათმენის!

* * *

უკვე მერამდენედ
ჩამოვმარცვლე
დარდი, კრიალოსნად აკინძული...
ღმერთო, შენი კალთა დამაფარე,
თორემ, იმედი მაქვს
ალანძული!..

* * *

ჩაქრა სხივი და ვმონებ სიბნელეს
და თალხისფერი გახდა საკინძე,
ფეხქვეშ დახვავდა ეკალ–ბარდები
და ტკივილები მძივად ავკინძე,
სახეს ღიმილი გადაივიწყა
და ნუღარ მაქცევთ შურის სამიზნედ!

* * *

უცებ დამძიმდა ეს ჯვარი
და შიშმაც ვერ ამიარა,
სულ ყველა ერთდ გამეხსნა,
თუკი რამ მქონდა იარა...
მე შენთან ყოფნა მინდოდა, –
ეს მონატრება კი არა...

* * *

წვიმის წვეთებმა მიჭირისუფლეს,
წრფელი ცრემლებით დაიტირეს
ჩემი ტკივილი,
რა საჭიროა წარსულ დღეებზე
თქვენთან ჩივილი...

* * *

მინდა შენთან ვიყო, ღმერთო,
კალთა დამაფარო შენი,
სულის სიძლიერე მომეც,
შევძლო მიტევება, წრფელი...
შენი სასოების მწამდეს,
მქონდეს სიყვარული ქვეყნის,
ცოდვის სიძულვილით სავსემ
შევძლო შეყვარება შენი,
ღმერთო, თავმდაბლობა მომეც,
იობს დამამგვანე თმენით,
სასუფევლის კართან მისულს
მადლი მეწეოდეს შენი!

# თარგმანი

## კიკი დიმულა

### ბიოგრაფიული სურათი

სახლი, რომელიც მთავარ გზას და ზღვას
ოთხი ფანჯრის ლოგიკით უმზერს,
სახლი, რომელიც
ფორთოხლისფერი,
ფართო აივნით
უღიმის ძველ სტერეოტიპებს.
ამ აივანზე,
ამ ღიმილში,
შებინდებისას
დედაჩემი თავის ძლიერ
საცნობ სახეს ჰფენს ხოლმე.
დრომ დაწერა იგი,
მარტივად, შთაგონების გარეშე წერდა,
ღამღამობით,
ტკივილების სხვადასხვა ენაზე წერდა
და გაავსო წარმავლობის ტომეულები.
მაგრამ შეცდომა სიცილისა
ერთხელაც კი არ დაუშვია.
ზის სკამის წვეპზე,
რათა თავისი დავრდომილი გულის წონით,
უფრო მეტად არ დაამძიმოს სალამოსპირი
და ძლივს არსებობს საკუთარი ცხოვრების შიგნით,
ბედისაგან უპაეროობით გატანჯული,
ძლივსძლივობით აიტანს ახლა
განცვიფრებათა სპაზმის შეტევას.
არიან ზღვები? —
ნერვიული გემები რომ დაცურავდნენ და
ხსნებს სტყორცნიდნენ დაუბრკოლებელს...
ანდა, ქარები თუ არიან,
რომ შეეძლოთ
სამყაროთა ძირფესვიანად
ამოგლეჯა?
ანდა, ისეთი ხსნადი თუა,
ფერებად რომ შეისრუტავდეს ლოთი საღამო?
არ იცოდა, რა იცოდა მისმა ცხოვრებამ...
და აი, ბედავს ერთ უცნაურ მოძრაობას,
სხეულს ჯერ წინ ხრის,
შემდეგ უკანვე წამოიღებს,
ხსოვნაში მძიმედ უსვამს ნიჩბებს,
ნაპირები — მისი ცრემლები.
ასე, ნელ-ნელა შლის წყვდიადი
სახეს, აივანს, საღამოსპირს.
მათ კონტურებს სიშმაგე იპყრობს,
ბნელ დილეგში იკეტებიან,
ჩვენმა მზერამ რომ მათთან მისვლა
ვერ მოახერხოს.
მორჩა, ღამდება!

* * *

ოდნავ გვერდით გადავინაცვლეთ
გადაწყდა რა, — მაგრამ ნეტა ვინ გადაწყვიტა? —
ოდნავ გვერდით, სიკვდილის მიწისსართულოვან
ხსოვნაში რომ გადაენაცვლა
შენს სახელს,
მყისვე ძველი სახლის
დასაცავი აზრი შეირყა:
გაფუჭებული, მორყეული კბილებივით
ინყეს რხევა ძველმა კედლებმა.
დაცარიელდნენ ჩარჩოები,
საგაზაფხულო ადგილებიც
პანიკურმა შიშმა მოიცვა.
"გთხოვთ, სიმშვიდე შეინარჩუნოთ!" —
იხვეწებოდა მათი მკვდარი ბუნება,
— გთხოვთ, დაცალოთო გუმბათი,
რადგან სადაცაა ჩამოიქცევა
და იქით — ზემოთ
ჩვენი უძრავი გამგზავრების დასაწყისს გვამცნობს.
და ჩვენც გვერდით გადავინაცვლეთ, —
ორი თუ სამი სახლის იქით, ძალიან ახლოს,
რადგან რისგანაც შექმნილია, იმაზე შორს
ვერასდროს მიდის ადამიანი.
და ამგვარად, არ განვეშორე,
ყოველ დილით ვხედავდე შენი
ჟოლოსფერი ხალათის დამდნარ ხელს,
რომელიც ჩვეულების ძველ ფანჯარას ხსნის.
და ყოველ დილით ვიმეორებდე, რომ
დადნა, გაცვდა, მორჩა, დამთავრდა!
ხვალაც მახსოვდეს!
და ყოველ დილით —
შენი ხალათის ძველებურად ჩამომდნარი,
იგივე ხელი!
რადგან სულ უარს ვამბობ, რამე ახლით შევცვალო,
ეს ძველთაძველი, გაცრეცილი ტკივილი
ახლით ჩავანაცვლო.
შენ ისევ მარტოდმარტო მიმზერ ოდნავ გვერდიდან,
სიმართლემდე ცოტა ადრედან,
რადგან უფრო შორს ეშინია ადამიანს,
უფრო იქით ვერასოდეს გადაინაცვლებს.

* * *

მშვიდობით არასოდეს! —
ესეც ბოლო მისალმებანი.
უთვალავი ჩემი სალამი...
გიგზავნი ყველას, უსასრულოდ,
არ არსებობს, რომ ღვთაებრივმა გულმოდგინებამ
უკლებლივ ყველა შენ გადმოგცეს.
ამინდი იებს გულში იკრავს
და ისინიც ეცემიან გულწასულები,
რა ქნას, მიზეზი აქვს თბილ ამინდს, —
შარშანდელს აქეთ არ უნახავს ია-იები.
გიხაროდეს, ყვავილთა წყებავ,
კვლავ უეჭველი დაბრუნების გამო ხარობდე!
გიხაროდეს, დაბრუნებათა არმცოდნე წყებავ,
სიტყვასიტყვით რომ შეინახე მკვდრები,
ხარობდე!
გიხაროდეს, წყვდიადის მკლავთა მოხვევაო,
ვინაც ყველას გულღიად ხვდები,
შენ წინაშე თუ თავს იმართლებს,
რომ არასდროს შეგხვედრია დაბადებამდე.
გიხაროდეს, თვალთა შენთა გახელის შიშო,
გიხაროდეს, უიმედოს მომადლებულო პირობაო,
რომ შენი მზერა ოდესმე კვლავ გაბედავს და
ახელილ თვალებს მოაგებებს
ჩემს დამფრთხალ მზერას.
გიხაროდეს, თვალთა შენთა გახელის შიშო,
დაე, ხსოვნისგან თავისუფლად მიდიოდე,
როცა კი გსურდეს
და უყურებდე დაკარგული დღის ფერმკრთალ დაისს.
შენ კი, სამყაროვ, შენ რა გითხრა,
შენ, ვინაც ასე ჩვეულებრივ ამბად აღიქვამ,
რომ ცხოვრობდე,
ვინაიდან ბედსაც სჭირდები
და ყველა სხვა საშინელებაც
მაგ სარფიანი ამტანობის ხარჯზე მდიდრდება,
შენ, სამყაროო, ვინც უბრალოდ უფასურდები,
როცა მხოლოდ იმისთვის ცხოვრობ,
რომ თავისი ცურვის დასასრულს,
დიდი-დიდი, ერთი სალამი მოგიგდოს
მუცლით მეზღაპრე მთვარემ,
აბა, რა გითხრა, სამყაროო, შენც გიხაროდეს!

### შავი ჰალსტუხი

მიდი, შენ ეგ ყვავილი მორწყე,
მე შემეშვი, ვტიროდე, დაე!
ოღონდ ერთსა გთხოვ — მიზეზები ჩამომიწერე,
ეგებ მმართებდეს კიდევ რამე მწუხარება,
მინდა, მშვიდი მქონდეს სინდისი,
რომ ყველაფრისთვის დავიტანჯე.
დაწერე: ვტირი სარკის გამო,
ოდესღაც რომ დეკორაციად ვიყენებდი,
ახლა — სამისნოდ.
იმ მშრალი ღამემშვიდობისას გამო,
რომელსაც მცირე შანსები ამბობენ და
იკარგებიან.
დაწერე:
შენი ფანჯრის გამო ვტირი, რომელიც
დახურული და უსაღმოა
და სევდიანი, დაბადებიდან...
ვტირი ბოლო ათწლეულის ჩიტების გამო
და ანტენების მიმართ მათი შიშების გამო,
და მერე, მაინც შეგუების
და მერე, ამ რკინის ხეებზე
მათი დაფრენის გამო ვტირი,
რადგან რკინის ტოტებიდან მღერა ისწავლეს.
დაწერე: ვტირი შაბათის გამო,
რომელიც ორ კვიპაროსს შორის დაიმარხა
ფრანგოკლისაში,
და მგლოვიარე მთვარის გამო —
შავ ჰალსტუხად აფარებს ღრუბელს.
დაწერე — ტირის!
ვტირი, რადგანაც მკითხე,
სავსე მთვარე თუ ვნახე.
არადა, სავსე არაფერი მინახავს,
არც გამომიცდია.
ვტირი, რადგანაც ბავშვებს სასკოლო ჩანთა
ხელში ისე უჭირავთ,
როგორც ცოდნა, თანაც უკვე დასრულებული.
დაუმდგარ ჟამთა ნაზ სიმშვიდეს კი
სათამაშოდ ერთხელაც არ მიაშურებენ.
დაწერე, რომ დედების გამო ვტირი,
ჩემი ყველაზე ძველი დედების,
ჩემი ფანჯრების სიფრიფანა
და მშვენიერი, სისპეტაკეთა მტაცებელი
სატრფოებისთვის ვტირი, რომლებიც
ასე უეცრად წაიყვანა სიკვდილმა და
ან, უკუნითი უკუნისამდე სუფევენ ჩემი
სახლის დედობრივ ფოტოებსა და ნაქარგობებში.
ვტირი, რადგანაც სინათლეები უკვე აანთეს,
ფანჯარაზე კი მოკუნტულ კატად წევს კვირადღე,
შიშიც თავის სიკეთეებთან ზის,
ზის და იცდის.
წერე: ვტირი შტორმების გამო,
ცოტა საჭმლისთვის,
ყოველივე ცოტასთვის ვტირი,
მიწისძვრებისთვის — წინასწარი შეტყობინების გარეშე
რომ ხდებიან ხოლმე,
ვტირი, რადგან სულ ამაოა ცნობა,
რომელიც მომიტანე —
თითქოს პირველ პეპელას მოჰკარ თვალი გუშინ.
ვტირი, რომ ცნობა არასოდეს არ ყოფილა
ეფემერული.
დაწერე: ვტირი,
რადგან ბედი თავის სახლში გამოიკეტა,
გადადება საჯარო გახდა,
მათარამაც უდაბნოებს მიაღწია და
სიყმაწვილე ფოტოში ჩარჩა.
ვტირი, რადგან არავინ უწყის,
ვინ დამიხუჭავს საბოლოოდ ჩემ დღეთა თვალებს.
მიდი, შენ ეგ ყვავილი მორწყე,
მე კი შემეშვი!
ვტიროდე, რადგან...

* * *

შენ, მონადირევ,
მიგიხვდი რატომაც კვლავ ჩიტებს —
შურს, ჩახშობილი ფრთების გამო, ასე იძიებ...
...მეც უამრავი ჩახშობილი ზეცა მაქვს, მაგრამ
ამის გამო ვარსკვლავებს არ ვკლავ!

ახალბერძნულიდან თარგმნა
თათია მთვარელიძემ



# ხსოვნა



ნათელა არჯევანიძე



## სიყვარულს ძალა ჰქონია

გრძნობა ვერ დავიმორჩილე,–
მარტის ქარივით აშარი,
ტრფობას დავუნთე სანთელი,
ავაციმციმე ლამპარი.
გულს ნაპერწკალი ვესროლე,
ვქექე, ვაღვივე ღადარი,
მელნად მოვძებნე გიშრის ტბა,
შევთხზე ოცნების ზღაპარი.
ყვავილთა კაბა მოვირგე,
მძივად ავისხი ნამ-ცვარი,
ტყემ თმას ჩამიწნა გვირგვინი,
მზემ – სხივთა კონა ნარნარი.
ბულბულმა მღერა მასწავლა,
ავახმიანე მთა ბარი,
მერცხალმა ფრთები შემასხა,
მოვვლე ედემის ბაღნარი.
სიყვარულს ძალა ჰქონია,
სულ მალე გალღვა ზამთარი.
მერე, მზის ფერით შევმოსეთ
ერთად, მამული, სახლ-კარი.

## დედა

როცა სევდა მკლავს და ბოლოს მიღებს,
ფიქრდასეტყვილი, საყვედურს ვბედავ:
– სიმღერასთან და სიცილთან ერთად,
რად არ მასწავლე ტირილი, დედა!..
ბედმა სასტიკად რომ გამიმეტა,
გულს ჩამიტოვა უსაზღვრო სევდა,
სიცილის ნაცვლად მარგუნა ცრემლი,
მე კი, ტირილი არ ვიცი, დედა...
ახლაც მდუმარე ვარ შენს საფლავთან,
გულის ცეცხლს ნავთი გადვისხი ზედა,
ისე ვბუბუნებ, ვით მაჭრის ქვევრი,
რადგან ტირილი არ ვიცი, დედა.
დიახაც, შვენის შვილს მშობლის გლოვა,
მე რომ ვერ ვტირი, არა ვარ მხნე და...
ო, მაპატიე, გამიშრა ცრემლი,
რადგან ტირილი არ ვიცი, დედა.

## ყინავს

ფოლადის მახვილივით გახევდა ღამე,
სულიც გაითოშა, მცივა,
შეჭირხლულ ფანჯრიდან გაფრინდა იმედი,
სევდის ფანტელები მცვივა.
უშენოდ დაიზაფრა რწმენა, სიყვარული,
სიხარულს ო, რა ღრმად სძინავს!..
ბინდი შეეპარა გაცრეცილ ოცნებებს,
გული აგოლგოთდა, – გმინავს.
თვალში ჩაიძირა ვეება ნაღველი,
ცრემლის ტბა ადიდდა, ბრწყინავს...
როგორი სიცივეა ჩემს საუფლოში,
უდროოდ დაზამთრდა, ყინავს.

## ჩამქრალი დღე დამიდგა

უკვდავების წყალზე სურა გამიტყდა,
მდინარეზე ხიდი გავდე, – ჩამიტყდა,
სიო ქროდა, ქარიშხალი ამიტყდა,
სიცოცხლის ხის ძარღვი, ტოტი მომიტყდა.
ცაში ვარსკვლავი რომ ქროდა, – გამიქრა,
ხელში კელაპტარი მენთო, – ჩამიქრა,
ბედმა ზურგი შემაქცია, – გამიდგა,
უმუქო და ჩამქრალი დღე დამიდგა...

## რატომ დუმს

ობობას ქსელს ბლანდავს სიყვარული,
სიცოცხლე ნავარდობს და სისხლი დუღს,
გულს მონყურებია მაგ ხმის გაგონება, –
ჩემი ტელეფონი კი მუნჯია, დუმს.
გარეთ მზე იცინის, მიხმობს და მამხნევებს,
სულში კი ავდარი ელავს და ქუხს,
ვზივარ მონყენილი ნატვრით და იმედით,
ჩემი ტელეფონი კი, არ რეკავს, დუმს...
შენ გელოდებიან ჩუმი ოცნებები,
ოთახის კედლებსაც სიცილი სურს,
იჩქარე, ძვირფასო, დარეკე, გახსოვდეს,
არ მიყვარს ტელეფონი, როდესაც დუმს.
დამღალა ლოდინმა, ფიქრებმა დამღალა,
უშენოდ ეს გული ბობოქრობს, სწუხს,
სიყვარულს ლოდინი არ უყვარს, იცოდე,
გიყვარვარ?.. ტელეფონი მაშ, რატომ დუმს?!

## უფალო, შეგევედრები,
## მეგობრებს მეტს ნუ დაგვაკლებ...

(ციცინო ბურნაძის ხსოვნას)

ჩემო ციცინო, გეხმიანები ამქვეყნიური – იმქვეყნიურს და, უკვე მერამდენედ, უშენოდ მოსულ შენს დაბადების დღეს აყვავებული შინდის რტოებითა და გულისტკივილით გილოცავ. აკი თავადვე ამბობ:
„ეს გაზაფხული, შინდის რტოებით მე მოვიყვანე შენთვის...”
ულამაზეს ქალბატონს სულიც ლამაზი, წყაროს წყალივით წმინდა და გამჭვირვალე გქონდა, უანგარო და კეთილშობილი... აკლიხარ ქალაქს, ახლობლებს, მეგობრებს, შენს საყვარელ ხცისის სკოლას, აღსაზრდელებს, რომლებსაც დიდი რუდუნებით უნერგავდი მამულის სიყვარულს.
ყველა ღონისძიება უფერო გვეჩვენება შენს გარეშე და ამიტომ არის, რომ შენს ხსენებაზე ცრემლი გვისველებს ნამწამებს.
შენი დაბადების დღე, წელს ბრწყინვალე აღდგომის კვირეულს და ხსოვნის დღეს დაემთხვა. ვიცი, არ მიწყენ, შენთან ერთად, თუ იმ მეგობრებსაც გავიხსენებ, რომლებმაც თავიანთი წასვლით, ამ ბოლოს გვატკინეს გული:
ნათელი დაადგეს იუზა და ნინო გელაშვილების, რეზო თუმანიშვილის, გიორგი გოგალაძის, ნანა ლამბაშიძის, ცისანა ტყეშელაშვილის, იზო ელიაშვილის, ნელი ხარაზიშვილის სულებს...

ქუქუნა ცენგირაშვილი–ქვრივიშვილი

რედაქტორი ეკა ბაქრაძე